სახალხო გაგეთი

№ 605 ოთხშაბათი, 23 მაისი, 1912 წ. № 605

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დასმა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაკრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორა მი მოსკოვში, მიასნიკოის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

27 მაისს, 1912 წ., კვირას, „ახალ კლუბის" ბაღში (ქართულ თეატრთან),

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება **დიდი სეირნობა** გაიმართება

შემდეგის პროგრამით: ამერიკული ბაზარი, ფოსტა. პტი—შვო. ყვავილები. რგოლების სროლა. კონფეტტი. დაუშრეტელი ყანწი. საბედო ბავშვებისთვის ბუფეტი. გასაღები: საჩუქრები. დედოფალა. ფუტბოლლის ბურთი. Ca'e-concert სინემატოგრაფი. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი. ფასი: ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კ., დიდებისთვის 30 კაპ. დასაწყისი 4 საათზე. (0.1254.10)

სახალხო გაგეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად 1 წ. „ბრდემლს".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს 75 კაპ.

(ოდოგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეშე).
საზღვარ-გარეშე თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფულს ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაზია მიღებული,

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ზაქარია და **მართა მჭედლიშვილები** შვილებით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფ. ანაგაში უდროოდ გარდაიცვალა დაუვიწყარი და უძვირფასესი შვილი, მასწავლებელი

ვანო ზაქარიას ძე მჭედლიშვილი.

დაკრძალვა მოხდება ღეს, 23 მაისს, ს. ანაგაში. (1—479—1)

3 ივნისს, კვირას, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია

წლიური კრება
ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოებისა.

განსახილველია:

1. 1911 წლის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1911 წ. ანგარიშის შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება 1911 წლის საზოგადო კრების დავალებათა შესახებ.
4. გამგეობის მოხსენებანი: შესახებ სოხუმის განყოფილებისათვის სესხისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა.
5. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1912 წლისა.
6. ახალი წევრების მიღება. (3—1285—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
ძველიმეჩის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი სნეულ.	**ბამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და პაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. შ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ფარულ ქალურ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ბ. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმყ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-ის ჩევიზიათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კანსულიანი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „ნ 0 6" წამლის ზეშეხაბუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]) —341/

25 მაისს, 1912 წ. მუშტაიდში,

გაიმართება **სახალხო სეირნობა,**

ქართველ ქალთა ამხანაგობის სკოლის სასარგებლოდ. შემდეგის პროგრამით: დაუკრავს **სიმებიანი** და **სამხედრო ორკესტრები, ლუდუკი.** ბავშვებისათვის სხ. და სხვა **გასართობები** მოეწყობა და **მუქთი პროექტორი.** სეირ. დაიწყება 4 ს. ბაღში შესასვლ. 25 კ., დიდებისათვის, პატარებისათვის და მოსწავლეთათვის 15 კ. (3.478.1)

ტფილისის სახალხო თეატრი — **შაბათს, 26 მაისს,** დანიშნულია

საზეიმო საღამო გაზ. „მშაკი"-ს არსებობის 40 წ. იუბილესი.

პროგრამა: 1. საპონცერტო განყოფილება:
ქ-ნი ლულუ კესსერისა, ნ. ი. სპენდიაროვისა და ბ-ნთ კაპელნიცკისა, არმენიანისა და კურირის მონაწილეობით.
2. **აკოთეოზი** ცოცხალ სურათს ღსდგავს ცნობილი მხატვარი გ. ზ. ბაშინჯაღიანი.
3. **საიუბილეო მილოცვანი.** — **დასაწყ. საღამოს 8 ½ საათზე.**

ბილეთებიც (დაკლებულის ფასებით) მიიღება შეიძლება; 1. საიუბილეო ბიუროში, გაზ. „**მშაკი**"-ს კანტორაში (სერგიევის ქუჩ. № 5). 2. ცატურიოვის მაღაზიაში, სასახლის ქ., 3. „პროკურორის" მაღაზიაში, გოლოვინის პრ. 3. საკრებულოს ქვეშ, ხოლო დღესასწაულ დღეს. 26 მაისს, თეატრის კასაში. — **დეპუტაციები** და **წარმომადგენლნი** იმ საზოგადოებათა, განმანათლებელ დაწესებულებათა, რომელიც გადაწყვეტილი აქვთ „მშაკის" დღესასწაულში მონაწილეობის მიღება და მილოცვა, თავის დროზე ეცნობონ და საიუბილეო ბიუროს („მშაკის" კანტორაში) აცნობონ თავის ვინაობა და ბინა, რათა სპეციალ ბილეთები ვაახლოთ. (4.1283.1)

ბურჭლეულისა და აქეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,
ქუთაისში

ყოველთვისა ვგვქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანრის ქაშანური (ქაშნ) ჭურჭელი, საფცხოვნო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი ალუმინიანი ტაფები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სიგოვრეები, ერ-ხინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენეური, მოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო ჩაიფები, ინგლისისა და ვარშავ-ს ჩაიოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის ჯლიონ.ები და ფატაჯზე სიფენი ლინოლეუმი. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ბიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრაფონები და მათი ფირფიტები, პიანინო როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პაროოოიკი) ახალის ს-სტემისა და საეკლესიო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა. ვგვაქვს წარმომადგენლობა: **საწერი მანქანა „ტორპედოსი"**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ.1236.9)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საუენი 30 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 302)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორლანოვის ქ., № 26. (წ.—1022—60)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 24 მაისს, ქართ. მსახიობთა მიერ **გ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი ბენბა ზ. ანტონოვის ცნობილი ორიგინალური პიესა

1) მზის დაგნელება საქართველოში. კომ. 3 მოქმედ.

მეორე მოქმედებაში: მეზურნეები, ბაღდადური, ლეკური და სხვ.

2) მრუდე სარკე, ღალატი, შარეი, 2 სურათ. გიდლაბი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი პიერეტა, ჩერქეზიშვილი, ვიქტორელი, ნებიერიძე, ბეკაროვა. ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, ერ-ხი, არადელი-ინშნელი, ქავეიძე, იორდანიშვილი და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთ. უკვე იყიდება თეატრის კასაში. **დასაწყ. საღ. 8-ნახ. ½.**

3—128 —2 რეჟისორი **აბაშიძე.** ადმინისტრატორი **იორდანიშვილი.**

№ 43 **ქმ. ზუბალაშვილების სახელოვნების სახ. სახლი.** № 103.

ზ. ს. ს. ს. ქართული წარმოდგენების მმართველი წრე.

ხუთშაბათს, 24 მაისს 1912 წ. წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ **ა. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

„მეზობლები". დრამა 4 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ბეკანოვა, გამრეკელი-ტორელი, ტანელი, ოდამანიშვილი-დგებუაძე, ა. ქიქოძე, ბ-ნნი დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, შ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, მაჭავარიანი, კ. ხახანაშვილი, ბიაურედა, ნ. ჯამკვეტაძე. დასაწ. საღ. 8½ ს.

ადგილების ფასი 1 კ. 50 კ.-მდე. მზადდება წარმოსადგენად: „გაზაფხულის ნიაღვარი".

რეჟისორი **ლ. წულუკიძე.** (5.1214.4) ადმინისტრატორი **სვ. ჯუღელი.** მორიგი წევრი **ს. თავდიშვილი.**

ახალი კლუბი

ოთხშაბათს, 23 მაისს 1912 წელს.

ჩვეულებრივად
სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკაიასი

დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარ საათზე. (1—1241—1)

საჭიროა გაზეთების გამყიდველი
აგენტები

ჟურნალ-გაზეთების მგზავნელ ბიუროსთვის: **ფოთში, სამტრედიაში. სენაკში, ზუგდიდში** და **ლანჩხუთში.**

მისამართი: ტფილისი, გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩი", ერ. გორდელაძეს. (5—4)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ
ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის",

25 ცალი 15 კ. ¼ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები"

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.47)

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების **ბამგე კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

დანიშნულია მიმდინარე წლის 24 თებერვეს, დილის 10 საათზე, სათავადაზნაურო გიმნაზიის სადგომში.

განსახილველია:

1) საზოგადოების ანგარიში 1911 წ.; 2) მოხსენება გამგე კომიტეტისა ამ ანგარიშის შესახებ; 3) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 4) საოჯახო და სამოსწავლო კითხვები; 5) მოხსენება გამგე კომიტეტის წესდებისა ამა თუ იმ მუხლის შეცვლის შესახებ; 6) ინსტრუქციის გადასინჯვა; 7) მოხსენება გიმნაზიაში მშობელთა წრის დაარსება; 8) ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე.

(1—1284—1)

პირველ თებერვიდან (ივნისიდან) ქ. ბორში გამოვა ყოველ-დღიური სალიტერატურო სავაკრო და სამეურნეო **საგლეხო** გაზეთი

„ქართლი"

ყოველ კვირეულ სურათებიან დამატებით.

დამატებით	**უდამატებოდ**
გაზ. წლიურად ეღირება 5 მ.	„ „ „ 4 მ.
„ ნახევარის წლით 2 „ 60 კ.	„ „ „ 2 „ 30 კ.
„ სამი თვით . . 1 „ 50 „	„ „ „ 1 „ 20 „
„ ერთი თვით . . — 55 „	„ „ „ — 45 „
ცალკე ნომერი ყველგან 5 კ.	ცალკე ნომერი ყველგან 3 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 კაპ., უკანასკნელზე—5 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) **ბორში** სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი" გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და **უდამატებოდ.** შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველდღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე.**

მისამართი: ქ. ბორში, რედაქცია „ქართლი" ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება აგრედვე **ივ. ავალიაშვილთან,** ბორი, ქალაქის აფთიაქი და **ივ. ავალიშვილთან,** ტფილისი, ქ. შ. წ. კ. ბ. სახ. წიგნის მაღაზია. (10—1276—4)

ამა წლის პირველ ივნისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება"

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან.	თვიურად ქუთაისში . . — 80 კ.
ნახევარის წლით . . . 4 „	ქუთაისს გარეშე . . . — 90 „
სამი თვით . . . . 2 „ 10 კ.	საზღვარგარეშე წლიურად 14 მ. — „

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—სამი შაური, უკანასკნელზე ორი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა სამი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріиловичу Баланчивадзе. ფული მიიღება **მხოლოდ ბალანჩივაძის** სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსადრეს ქუჩა, თედორაძის სახლები № 6. (3—1270—3)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა
წინამძღოლი

იწვევს გუბერნიის თავად-აზნაურობას თავად-აზნაურთა **ჩვეულებრივ საგუბერნიო კრებაზე,** რომელიც დანიშნულია 27 მაისს, დილის 9 საათზე სათავად-აზნაურო თეატრის საზამთრო დარბაზში. (2. 1282. 1)

ქუთაისი

ქუთაისში
რკინეულობის სავაჭრო
სტეფანე კავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.7) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

ექიმი **კბილისა ა. (ბ.) ბ. დოლიძე** **გადავიდა ნაძალადევში** (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგავს ხელოვნურ კბილებს, **დილის 8—2 ს—მდე** და **საღამოს 4—7 ს.** (თ.1179.37)

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით აკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—41)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ეძიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი 8 qua r o.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ეს.ენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებიან 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორ ღანოყის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.
ფოთში—ილია მეუნარგიასთან. ♦ თელავში—თამარა აბაშიძესთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ♦ ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ♦ ბაქოში—ილია აგლაძესთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ♦ ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ♦ ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის მათთვის გასამართლებელ ხაბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება დრამატიული თხზულებანი:

ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ.	50 კ.	მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა	40 „
ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ.	20 „	ნაძირალნი. გორკისა 4 მ.	25 „
ბრძოლა არსებობისათვის. დრ. ჰოემა, გაბრ.	60 „	ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ.	40 „
გაყრა, გ. ერისთავისა	5 „	ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან.	25 „
გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ.	25 „	ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი ძეფობენ.	50 „
გალატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ.	10 „	ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ.	40 „
დემონი. ოპერეტ.	50 „	პანთეონი ქართ. თ.: იკვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია.	30 „
დარბეულნი. დრ. 4 მოქ.	30 „	რიჩარდ.	40 „
დრამ. თხზ. დ. ერისთავისა	1 მ.— „	საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ.	25 „
დღი. დრ. 3 მოქ.	20 „	საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ.	10 „
დრამ. ტ. კომ., „სორაპ“ გამ.	1 მ.— „	სამშობლოს ბრუჯნი	10 „
დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, მშვენიერი ელენეს მაძიებ., ინობაზი	50 „	სამეგრ. მთ. ლეგან ვ. ყიფ.	40 „
ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ.	35 „	უმარილის ბრალია. კ. 3 მ.	10 „
თანამედროვე პიესები ს. ტარ.: კოცნა პირვ. ტ. უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი.	30 „	ფეიერები. დრ. 5 მოქ.	50 „
ილიას დღე ჭიათ. ტ. ბატ. ტ. ყმა	20 „	ქრისტინე. დრ. 5 მოქ.	20 „
კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ.	50 „	ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან.	20 „
მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ.	15 „	ღალატი. ნათ. ყიფშიძისა	50 „
მტარვლის ბედი. დრ. მოქ.	10 „	ღალატი. ნათ. ნ. ავალ.	25 „
მეგობრობა. დრ. 4 მოქ.	30 „	ღალატი. ნათ. კ. მესხისა	25 „
მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ.	40 „	ცოლი ვიტირო თუ ფული!?	15 „
მოლიერი. დრ. თხზ.	50 „	შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ.	30 „
მარო. დრამის ნაწყვ.	3 „	წყურვილი, დრ. 3 მოქ.	30 „
მიჯაჭული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია.	50 „		
მეორე კაენი. დრ. 3 მოქ.	30 „		

ადრესი: Тифл О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.49)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის: სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, **რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მოწაფეთა მეცადინეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეიტანებოდეს ადნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.

А съ Елизаветинской ул., д. № 38. (недалеко отъ памяти. Воронцову). (ნ. 1084.28

ვაგზლის კერძო საჯკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; ავრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

ნაბლოგა „606“

(ნ.—1018—272)

ექიმი ე. ი. ბინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუბისა და ნაწლეგ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—158)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18. ოავ. ვახინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ სახოგ. დოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (ნ. 1037 168)

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ექიმი ი ვ. გ ო ლ ო ვ ა ნ ო ვ ი

მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბოლჯომში** პირველ თიბათვიღან—პირველ ენკენისთვემდი.

(25.468.2.)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნ ი ნ ო ლ ო ბ ა ძ ე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ვ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება ტ.ლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—

(25.1045.114

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა და ლ ო ქ ი ლ ე ბ ი ს ა ჰ ა. ძ ა ჯ ა ი ა

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ჯოსტაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (ნ—1019—91)

ექიმი ვ. ე ო ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სასწორი სვანიშვილისა.

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ალ. ს ო ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის ბრ., № 12. სახლი მდივნისა.

უმაღლესად ეგოძათ

ტიტულიარნი სოვეტნიკობა: სენაკის ხაზინის კასისს **ნადირაძეს.**

გუბერნსკი სეკრეტრობა: ქუთაისის სახაზინო პალატის ბუხჰალტერის თანაშემწეს **თუმანიშვილის,** პალატის კანცელარიის მოხელეს **ვარდოსანიძეს** და **ალავიძეს.**

კოლეეუსკი რეგისტრატორობა: ონის ხაზინის მოხელეს ჯაფარიძეს.

ნადვორნი სოვეტნიკობა: ტფილისის ხაზინის უფროს კასირს **კორინთელს.**

კოლეეუსკი ასესორობა პალატის მოხელეს **კორინთელს.**

კოლეეუსკი სეკრეტრობა: პალატის ბუხჰალტრის თანაშემწეს **მათურელს.**

გუბერნსკი სეკრეტრობა: ტფილისის პალატის კანცელარიის მოხელეს **ინჯიას.**

კოლეეუსკი რეგისტრატორობა: თელავის ხაზინის მოხელეს **მარკოზაშვილს.**

კოლეეუსკი სეკრეტრობა: გუმბრის ხაზინის ბუხჰალტერს **ჯამაგრეიძეს.**

ჯამაგირები მოუმატეს

ტფილისის კანტორის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ — **გიორგი ხუხრუქიძეს, რაფაელ ზარდალიშვილს, პავლე თვაურის.**

გადაიყვანეს: ევლახიდან ფოსტის მოხელე **გრიგოლაშვილი** (იგივე გიგოლაია) ქარავან-სარაის საფოსტო განყოფილებაში.

სახელმწიფო სამსახურში ჩაირიცხა მეხუთე ხარისხის ფოსტის მოხელე **არჩილ ქაშია.**

დასასვენებლად დაითხოვეს: სალიანის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე **პოლიევკტი ოყრეშიძე,** ვანქის ფოსტის მოხელე **ბარნაბა ჭრიალაშვილი,** აჯიქაბულის ფოსტის მოხელე სტეფანე კარხოშვილი.

ტფილისის საფოსტო კანტორის მოხელე კოლეეუსკი ასესორი **თეთრაძე.**

დაინიშნა: ფოთის საფოსტო კანტორის მოხელედ **გიორგი ხუხია.**

წარმატება მიეცათ: ტფ. პალატის მოხელე გუბერნსკი სეკრეტარს **ფანჩულიძეს**—სტოლნაჩალნიკის თანაშემწეობა უმაღლესის ჯამაგირით.

დასასვენებლად დაითხოვეს: გორის ხაზინის მოხელე გუბერნსკი სესეკრეტარი **აბრამიშვილი.**

გადაიყვანეს: ქვემოჯალის ბოქაული ტიტულიარნი სოვეტნიკი **ჯაფარიძე** გორის ოსეთში, ხოლო იქ მყოფი ბოქაული **ერისთავი** მის ადგილას.

სამსახურიდან დაითხოვეს: თავისის თხოვნისამებრ **პრაპორშჩიკი ნიკოლოზ ამილახვარი** და საგუბერნიო სამართველოს მიეწერა, საპოლიციო თანამდებობის მისაღებად.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

15 მაისს, სული წმინდის მოფენის დღეს, შესრულდა შვიდი წელიწადი მას შემდეგ, რაც კუნძულ ცუსიმასთან მოხდა საბედისწერო შეხვედრა რუსეთისა და იაპონიის ფლოტებისა. როგორც მკითხველმა იცის, ამ შეტაკების დროს სრულიად დამარცხდა რუსეთის ფლოტი, დამარცხდა ისე სასტიკად და საშინლად, რომლის მსგავსი არ ახსოვს ომის ისტორიას. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ეს უბედურება მხოლოდ გემთა და რამდენიმე ათას ჯარისკაცთა დაღუპვას კი არ მოასწავებდა, არამედ ეს იყო აშკარა დამარცხება ბიუროტიულ წეს-წყობილებისა.

ამ საკითხს ეხება „რუსკოე სლოვო“-ში ა. ფილოსოფოვი:

„ცუსიმა ბრძოლა როდია, იგი უფრო მსხვერპლია განწმენდისა. ამას წინად გამოქვეყნებულ ადმირ. როჟდესტვენსკის წერილებიდან სჩანს, რომ უბადრუკი ესკადრა მიდიოდა, ან, უკედ ბომა ვსთქვათ, მიზოზავდა შორეულ აღმოსავლეთისაკენ სრულიად უიმედოდ მიდიოდა სასიკვდილოდ, მოვალეობის ასასრულებლად...

ცუსიმა ტრაგიკული პროლოგია მომავალი დრამისა, რომელსაც ვერსად გადვჭცევთ. იგი თითქოს სამარადისო საყვედურია ჩვენი სახელმწიფოებრიობისადმი, მოწოდება აღორძინებისა და განახლებისადმი. ჩვენი ჭალა, ჩვენი უნარი ზრდისა და განახლებისა ცუსიმასთან დამოკიდებულებით განიზომება,

ჩვენ მწარედ უნდა ვჩიოდეთ, ცხარე ცრემლსა ვღვრიდეთ, მაგრამ უფლება კი არა გვაქვს ამოვფხიკოთ ისტორიის ეს მწუხრული სტრიქონები, დავივიწყოთ საშინელი მომენტი. უკანასკნელ წამს მათ, ვინც ამ საბედისწერო ბრძოლაში იღუპებოდნენ, სწამდათ, რომ მათი მსხვერპლი დააფერქებდა, გამოაღვიძებდა, განაახლებდა რუსეთს.

ცუსიმას წინაშე უნდა სდუმდეს პარტიული უთანხმოება, რადგან ამას ავადლებს იგი ყოველ რუსს, თუ კი რაიმე აერთებს ადამიანს სამშობლოსთან, მან ვერ უნდა დავივიწყოს ცუსიმა. იგი უნდა მუშაობდეს მომავალი რუსეთის საკეთილდღეოდ. საქმე პროგრამა კი არაა, არამედ ბრძოლა გახრწნილებისა და უტყეობის წინააღმდეგ.

მაგრამ—ვაი, რომ ცუსიმის მოგონებამ დაგვანახვა, რომ ჩვენ კვლავ უცნაურს გახრწნილებაში ვიმყოფეთ, ვცდილობთ ცუსიმის დავიწყებას, გვსურს ამოუშლელი სტრიქონების ამოფხეკა. ჩვენი ამგვარი დაძაბუნებისა და ისტორიის გაკვეთილის უგულებელყოფისაგან სული მწუხრდება. ეჰვი იბადება ახლო მომავლის აღორძინებისა“.

სახელმწიფო სათათბირო

დეკეშები

(გაგრძელება. პირველი ფურცელი ჯერ არ მოსულა.)

სათათბირომ დაადასტურა საბჭოს გადაწყვეტილება, რის ძალითაც უნდა გამოეტოვებინათ ის მუხლები, რომელნიც ნებას აძლევდნენ რუსულის უცოდ ნართ თხოვნები და საჩივარი დედა-ენისაზე ნაწერი წარედგინათ. ეს მუხლები გამოსტოვეს 130 ხმით 82 წინააღმდეგ.

რამდენიმე მუხლი კომისიის რედაქციით უკამათოდ მიიღეს. კამათი გამოიწვია მე-17 მუხლმა, რომელიც არკვევს საკითხს: მოსამართლეთა კრების თავმჯდომარე ამორჩეულ იქმნას თუ დანიშნულიო.

როდიჩევი ამბობს: ამორჩეულ თავმჯდომარეს რუსეთი იცნობს და კარგი სახელიც დარჩენია ხალხში. მაკვირვებს იმ ხალხის საქციელი, ერობათა წარმომადგენლებად რომ ოაქვთ თავი და საზოგადოების მომთხოვნილებას კი ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. რაც შეეხება მთავრობისაგან გამწესებულ თავმჯდომარის დამოუკიდებლობას, აბა, რა სათქმელია, ეხლა ხომ რუსეთში აღარავისა სჯერა სამინისტროს დანიშნულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. კანონ-პროექტი მთავრობას ერთხელ კიდევ მისცემს შემთხვევას ამორჩეულ მოსამართლეთა ინსტიტუტისა და მათი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებისათვისაო (მემარცხენეთა ტაში ისმის).

გუჩკოვი კანონ-პროექტს ვერ დაუკმაყოფილებია, მაგრამ დიდ ნაბიჯად მიაჩნია. გუჩკოვი მომხრეა თავმჯდომარეთა დანიშვნისა, მაგრამ თანაც მუხლს შენიშვნა უნდა გაუკეთოთ, რომ იმ ადგილებში, სადაც ახლა არჩეული თავმჯდომარენი არიან, ეგ ინსტიტუტი უნდა დარჩესო.

ლომონოსოვი, საველიევი, ჩერნოსვიტოვი და **ზახარიევი** მოხრენი არიან თავმჯდომარეთა არჩევნისა, **ტიმოშკინი** და **კლიმენკო**—დანიშვნისა.

კენჭი უყარეს საკითხსა და მიიღეს კომისიის უმრავლესობის მუხლი, რის ძალითაც თავმჯდომარენი დანიშნულ იქნებიან. ხოლო პეტერბურგსა, მოსკოვსა, ხარკოვს, სარატოვს, კიშინიოვს, ოდესასა და ოცხანში კი თავმჯდომარენი არჩეულ იქნებიან.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

ოცდაამეერთე მუხლის ძალით მომრიგებელ მოსამართლეებად ვერ იქნებიან ებრაელები.

გულკინი აღნიშნავს, რუსის ხალხი არარუსებთან ძმად ივლის და ძმასავით მოიქცევა, საჭირო არ არის ასეთი სამარცხვინო მუხლი.

ფრიდმანი. მოსამართლებად ცოტა ებრაელია და ვინც არის, ყველა კარგად ასრულებს მოვალეობას. ეს მუხლი ებრაელების შეფრაცმყოფელია და ძირს უთხრის აგრედვე რუსეთის სასამართლო წესდებასა და დაწესებულებათა.

მეხუთე პუნქტი და შემდეგი მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს.

კენჭის ყრის გამო ილაპარაკეს **უვაროვმა, როდიჩევმა და ფარჩევსკიმ.** პირველმა პროგრესისტებისა, მეორემ კადეტებისა და მესამემ ჰოლონელთა კოლოს სახელით გამოაცხადეს კანონ-პროექტის წინააღმდეგ მივცემთ ხმასა. 150 ხმით 63 წინააღმდეგ კანონ-პროექტი მიიღეს.

განაგრძობენ კამათს ერმოლაევის წინადადების გამო, სოფელში გავრცელებულ ხულიგანობის საწინააღმდეგო ღონისძიებანი შეავიმუშაოთო.

ერმოლოვი განმარტავს, რომ წინადადება მთლად გლეხობას კი არ ეხება, არამედ ხულიგანებსაო.

კროპოტოვი აღნიშნავს, ეს წინადადება მესამე სათათბიროს ადსარებაა: სულ არაფერი გამიკეთებია, სოფელს არ დავხმარებივარო.

როდიჩევი. ქვეყნის დამშვიდებას მხოლოდ უნაკლოდ მოწყობილი სასამართლო შესძლებს და გაუღვიძებს გულში სამართლიანობის გრძნობას. რუსეთი ძართლადაც შეუწუხებია ხულიგანობასა და თავზე ხელაღებულ თარეშს, მაგრამ ყველაფერი შედეგია ასის წლის მონობისა და დაჩაგვრისა, რასაც უკვე შეურყევნია და რყევნის რუსის ხალსა. თქვენი ბრალიაო, ეუბნება როდიჩევი სათათბიროს უმრავლესობას, თქვენ ხართ დამნაშავენი, ხუთი წელიწადია ჰპირდებით ხალხს პიროვნების ხელშეუხებლობასა, ხუთი წელიწადია ატყუებთ და თქვენ ხართ პასუხისმგებელნი იმ პირობათა შექმნის გამო, რასაც ხულიგანობა-თავხედობის გაძლიერებას მოსდევსო (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

გუჩკოვი. წინააღმდეგია წინადადებისა, რადგანაც ადგილობრივ სასამართლოს რეფორმასთან კავშირი არა აქვსო.

ერმოლაევს უკან მიაქვს თავისი წინადადება.

წაიკითხეს შემდეგი წინადადებანი: **საველ ევისა,** ის ქალაქები, სადაც ცალკე სოლქო სასამართლოები არის იმ ქალაქთა რიცხვში უნდა მოაქციოთ, რომელთაც თავმჯდომარის არჩევის უფლება აქვთ; **ზახარიევისა,** ყველგან, სადაც არჩეული სამოსამართლო ინსტიტუტი არის, უნდა დარჩესო.

წაიკითხეს ოქტომბრისტების ფორმულა: ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ რაც შეიძლება ჩქარა უნდა შემოიღოთ ახალი წესებიო.

მომხსენებელი შუბინსკი ამბობს, ნუ შეგაშინებთ მემარცხენეთა ლაპარაკი, ვითომ მეოთხე სათათბირო ამ კანონპროექტს უარჰყოფდეს. მეოთხე სათათბირო, იმედია, არც პირველს ესგავსება, არც მეორესა და კანონს ფეხით არ გასთელავს.

საველიევის და **ზახარიევის** წინადადება ტ. ოქტომბრისტების ფორმულა მიიღეს.

შუბინსკი ტრიბუნიდან რომ ჩამოდის, ცენტრელები ტაშით აცილებენ, მემარცხენენი უსტვენენ.

ნეკროსოვის მოხსენებით უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტი უფის გუბერნიის რკინის გზის გაყვანის ღირებულების თაობაზე.

ჩერნიცკი კითხულობს მოხსენებას ქალთა უფლების გადიდების კანონ-პროექტისას და ეხება შემთანხმებელ კომისიის აზრსა. კანონ-პროექტი საბჭოს ერთხმად მიუღია და თქვენც ერთ ხმად დაამტკიცეთ კანონ-პროექტი, რასაც რუსის ქალი, აგერ ასი წელიწადია, ელისო (ტაშის ცემა).

კენჭის ყრის გამო ლაპარაკობს **გერასიმოვი** და აცხადებს, თუმცა ნაკლი ბევრი აქვს კანონ-პროექტს, მაგრამ მაინც არ შევაფერხებთ, ცხოვრება თვით შასწორებს ყველაფერსაო.

კანონ-პროექტი მიიღეს.

საყოველთაო სწავლა.

კოვალევსკი კითხულობს შემთანხმებელ კომისიის დასკვნას საყოველთაო პირველ-დაწყებით სწავლის კანონ-პროექტისას. კომისიის უმრავლესობას მოუთხოვნია 9 მილიონი გადავდოთ ამ საქმისათვის და ამ ფულში სასულიერო უწყებას მილიონ-ნახევარი მივცეთო. უმცირესობა მოითხოვს 9 მილიონის გადადებას, მხოლოდ საგანათლებოდაო. ამას გარდა ბევრი სხვა განსხვავებაც არისო. სათათბირომ გადასწყვიტა, რომ სასულიერო უწყების სკოლები ემორჩილებოდეს სასწ-ვლებელთა საბჭოებს, კოსისიის უმრავლესობა კი ყველა სკოლას განათლების სამინისტროს უქვემდებარებსო. მომხსენებელი მოუხრეა უმცირესობის რედაქციისა და აღნიშნავს, იქედია საბჭოც დაგვეთანხმებაო.

ტიჩინინი მომხრეა უმრავლესობის რედაქციისა და დასძენს, საბჭო თავისას არ დაიშლისო (მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

მღვდ. იურაშკევიჩი დიდ მნიშვნელობას აწერს კანონ-პრექტსა და ყველას მიღებასა რჩეულობს.

კენჭის ყრის გამო **კუზნეცოვი** შემდეგს ამბობს: ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ყრილობაზედაც კი ლაპარაკობდნენ გლეხები სამრევლო-სასულიერო სკოლის საწინააღმდეგოსაო.

მარკოვი მე-2 მომხრეა კომისიის უმრავლესობისა.

(დეპეშების ბოლო დეპ. სააგენტოს არ მოსვლია).

სახელმწიფო საბჭო

დეკეშები.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საბჭოს მიუღია გზათა და ვაჭრობის სამინისტროების ხარჯთ-აღრიცხვა, დაუდასტურებია აგრედვე მიწათ-მოწყობის მთავარ გამგეობის ხარჯის ანგარიში.

საბჭოს სათათბიროსთან უთანხმოება მოსვლია მხოლოდ რკინის გზათა ხარჯთ-აღრიცხვის გამო. 14 პარაგრაფში საბჭომ სათათბიროს მიერ დაკლებული ფული შეაესო 2.642.245 მან.

მომხსენებელი პეტროვი აღნიშნავს, რკინის გზებს ჯერ ვერ დაუყენებიათ ისე საქმე, უზარალოდ გამოვიდნენო. 1912 წელს, მაგალითად, ხაზინამ უნდა დაუმატოს 6 მილიონი. მაგრამ ეს ზარალი სხვა გზით უბრუნდება ხალხსაო. მიიღეს სხვა და სხვა [illegible] ულ უწყებათა და სამინისტროთა გაჰაუმჯობესებელი [illegible]

დასახლების საქმეთა გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის გამო კითხულობს **ზინოვიევი** და აღნიშნავს, ეს საქმე, მკვდრ ნიადაგზე ვერ დაუყენებიათო.

გამგეობის უფროსი გლინკა დაჟინებით არ მოითხოვს სათათბიროს მიერ შემცირებულ ხარჯთა აღდგენას და აღნიშნავს, თუმცა ეხლა გადასახლებულთა რიცხვი შემცირებულა, მაგრამ იმედია, გამრავლდებაო.

საბჭომ ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორება შეიტანა სხვა და სხვა უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვაში.

დაბოლოს გადასწყვიტეს შემდეგ სხდომაზე აერჩიათ 10 წევრი შემთანხმებელ კომისიისათვის, რომელმაც 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა უნდა განიხილოს.

შემდეგი სხდომა 22 მაისს მოხდა, განსახილველი იყო საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. უნივერსიტეტი.** კავკასიის ნამესტნიკს მინისტრთა საბჭოში წარუდგენია საბუთები შინაგან საქმეთა მინისტრის მაკაროვის მოხსენების წინაააღმდეგ. ნამესტნიკი დაბეჯითებით მოითხოვს ტფილისში უნივერსიტეტის გახსნას.

✦ **წმინდა შემოსავალი სეირნობისა,** რომელიც სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ 19 მაისს მუშტაიდში გაიმართა, ოცი თუმანი იყო.

✦ **შემწეობა.** ქალაქის საბჭომ, დაადგინა, 300 მან. ერთდროული დახმარება მიეცეს ქალაქის მოსამსახურის ქვრივს სოფიო შაბერდოვისას.

✦ როგორც ნამდვილის წყაროებიდან გავიგეთ, დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი **ნიკიტა თალაქვაძე,** წინააღმდეგ მისი სურვილისა, გადაუყვანიათ ანჩისხატის ეკლესიაში. იმის ადგილას კი დაუნიშნავთ ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის **დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი,** უკანასკნელის ადგილას—ბოდბის სამონასტრო ეკლესიის წინამძღვარი—მღვდელი **მიხეილ ნაცვლიშვილი,** ხოლო ამის ადგილას სასულიერო სემინარიის მასწავლებელი **რუსი მღვდელი.** დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი, როგორც ამბობენ, სხვა და სხვა საპატიო მიზეზისა გამო, უარს ამბობს დიდუბის ეკლესიაში გადასვლაზე.

✦ **დიდუბის მრევლის წარმომადგენლებმა** გუშინ ექსარხოსის მოადგილეს, ბაქოს ეპისკოპოსს ბიმენს სთხოვეს, დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ნ. თალაკვაძე, რომელიც ანჩისხატს ტაძარში გადაიყვანეს, კვლავ დიდუბეში დასტოვონ.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. რ. ფიშერმა **ბაქოს ქალაქის მოურავის** თანამდებობის ყუთის დადგმაზე უარი განაცხადა.

✦ **საერთაშორისო ენის „ექსპერანტოს“** 20 წლის არსებობის იუბილე ტფილისში 20 მაისს იდღესასწაულეს. ამ დღისთვის დანიშნული იყო სადღესასწაულო კრება ექსპერანტისტებისა, რომელთაც ჩამოსთვალეს სხვა და სხვა ცნობა ექსპერანტოს შესახებ და აღნიშნეს, რომ ეს ენა თან და თან ყველგან ფეხს იკიდებს და ვრცელდება.

✦ **უბედური შემთხვევა.** 21 მაისს, საღამოს 5 საათზე, ნადიროვის აგურის ქარხანაში მიწის თხრის დროს გორა ჩამოწვა და შიგ ერთი კაცი მოჰყვა. მაშინვე მუშებმა მიწა გათხარეს სამ საჟენის სიღრმეზე და მკვდარი ამოიღეს, რომელიც აღმოჩნდა სპარსეთის ქვეშევრდომი მაჰმადიანი მამედ-კულა ხალილ ოღლი.

✦ ქართულ **საკვირაო სკოლის გამგეობამ** შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ხარკოვში ქ. დ. ალჩევსკის 50 წლის იუბილეის გამო:

„კავკასიის ქართული საკვირაო სკოლის მასწავლებელთა კორპორაციაულოცავს ძვირფას „იუბილიარს“ 50 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას განათლების სარბიელზე და უსურვებს მას მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს.

✦ **ექსკურსია** ხმოსნის ა. ს. ბაბოვის თაოსნობით განზრახულია ექსკურსიის მოწყობა წალკის წყაროების დასათვალიერებლად. ექსკურსიაში მონაწილეობას ქალაქის საბჭოს ხმოსნებიც მიიღებენ.

✦ 21 მაისს ავჭალის მოედანზე ჩხუბი მოუვიდა ორს მთვრალს კაცს ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ გლახას ძე პეტუხოვს და გორიდ მაზრის სოფელ წინახერის მცხოვრებს ესტატე იოსების ძე მერაბაშვილს. უკანასკნელმა პეტუხოვი სტოლის დანით **ფერდში დასჭრა.** ჭრილობა ექიმების შემოწმებით საშიშია. მერაბაშვილი შეიპყრეს.

✦ **რედაქციამ მიიღო** სამეურნეო ჟურნალ **„მოსავლის“** მეცხრე ნომერი, შემდეგი შინაარსით:

ვ. ახოშვილი—ჟანგარო, კ. ბერეკაშვილი—ბრძოლა ფილოქსერასთან კახეთში, ფარ. ს. ელიავა—სამკურნალო მცენარეულობა ჩვენში, გრ. ცხადაძე—შინაურ ცხოველთა ფალარათობა, მ. თაქთაქიშვილი—ხეხილის მოვლა, „მოსავალი“-ს წარმომადგენელი—უცხოეთის სამეურნეო მანქანა-იარაღები.

საყურადღებო ცნობები: ფოთლის დახუჭუჭების წინააღმდეგ წამალი, მეორე წამალი სოკოსა და ფერ-ჭია-მატლის წინააღმდეგ:

✦ **დაკრა.** 20 მაისს, საღამოს 10 საათზე, ეჩმიაძინისა და სურფ-მინასის ქუჩების კუთხეში ტფ. მოქალაქემ გარეგინ ნიკოლოზ ს-ძე ვარდანოვმა ჰირადის შურის ძიებით ბებუთით მძიმედ დასჭრა მარცხენა ფერდსა და მარჯვენა ხელში ტფ. მოქალაქე იოსებ ისაკის-ძე ფარეშოვი დამნაშავე შეიპყრეს.

✦ **პროფ. მარს** ტფილისში დღეს მოელიან. ტფილისიდან ბ-ნი მარი დღესვე გაემგზავრება ანში საარქეოლოგიო სიძველეთა გამოსაკვლევად.

✦ სრულიად სომეხთა **კათალიკოსი** გეორგ მე-5 28 მაისს ეჩმიაძინიდან პეტერბურგს წავა, საიდანაც დაბრუნების შემდეგ გზა ტფილისშიც გამოივლის.

✦ **სავაჭრო ბანკი.** გუშინა და გუშინ წინ ხელი მოაწერეს 3 ნახ. მილიონ მანეთის აქციაზე.

✦ 20 მაისს ელისაბედისა და რეუტოვის ქუჩების კუთხეში მამრობითის სქესის ბავშვი იპოვეს, დაახლოვებით ერთის თვისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ 20 მაისს ტფ. 43 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ტფ. სიფხიზლის საზოგადოება** ქალაქს 1,500 ოთხკუთხ საჟენიწას სთხოვს ნაძალადევში სახალხო სახლის ასაშენებლად. ქალაქის გამგეობას ამ თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლად მიაჩნია. საკითხს საბოლოოდ ქალაქის საბჭო გადასწყვეტს.

✦ **ქალაქის საბჭოს საარჩევნო კომისიას** ხუნუნც-არღუთინსკის კონფლიქტის შემდეგ დღეს პირველი კრება ექმნება.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 3 ივნისს, დილის 11 საათზე, მოხდება სამეურნეო ბანკის შენობაში.

სასამართლო.

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** ტფილისიდან გაემგზავრა. სესია საქმეებს გაარჩევს: 21-23 მაისს ქუთაისში, 24 მაისს—ბათომში და 28 და 29 მაისს—გაგრაში.

სოფლთა ცხოვრება

✦ მაისის 18-ს ტფილისის სახელოვნო-სალიტერატურო სალონში მოხდა ; onr-jixn „მშაკის იუბილეს გამო მრავალ საზოგადო მოღვაწეთა თანადასწრებით. იუბილეის გამო სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ბ. ილია ნაკაშიძემ, ალექსანდრე ხატისოვმა, ა. გასპარიანმა (ქართულად) ჰ. სოლოვიანმა და სხვებმა. „მშაკის“ ფონდის სასარგებლოდ დღემდე შვგროვებულია 16,556 მანეთი და 22 კაპეიკი.

ტფილისის მაზრა.

✦ 1 იანვრიდან 1 მაისამდე ტფ. სამაზრო პოლიციაში 165 კაცი ყოფილა დაჭერილი.

შეცდომის გასწორება. გუშინ, დელ ნომერში დაბეჭდილ წერილში „კიევის სათვისტომოს გამგეობისაგან“ ხელის მომწერთა გვარებში შეცდომით სწერია: ე. მაპავარიანი; **უნდა იყოს—დ. მაჭავარიანი.**

ᲛᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავს გამოუგზავნეს:

1) **ოლივერ ვარდროპმა** „ვეფხის ტყაოსანი“, ინგლისურად ნათარგმნი მ. ვარდროპის მიერ

2) სიმჰერატორო სამეცნიერო ეკადემიამ: ა) „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, ვ. ბერიძისა; ბ) აფხაზური ენის დამოკიდებულება იაფეტურ ენებთან, (რუსულს ენაზე), ჰ. ჭარაიასი, და გ) „არისტოტელის კატეგორიათა �martebsa“ (სომხურ ენაზე), მანანდიანისა.

„საზოგადოების“ გამგეობა ულრმეს მადლობას და გულწრფელ პატივისცემას მოახსენებს პატივცემულთ შემომწირველთ.

ᲔᲞᲘᲡᲙ. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ წᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ეპისკ. დავითის წასვლის შესახებ „კავკაზში“ დაბეჭდილი იყო ოფიციოზური ცნობა.

„ზაკავკ. რეჩი“ ეხება ამ ცნობას და ასეთ განმარტებას იძლევა: „ჩვენს მოვალეობათა ვთვლით განვაცხადოთ, რომ „კავკაზის“ ეს ცნობა ტენდეციურია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

ეპ ს. დავითმა ვერ შესძლო 14 მაისს ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და სამწყსოსთან გამოთხოვება, **სწორეთ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.** გაზ. „კავკაზის მტკიცება, ეპისკ. დავითმა რომ არ აასრულა არქიელის ფიცის მოვალეობა, ამ გაზეთისავე მოგონილია. ეპისკ. დავითს ძლიერ კარგად ესმის ფიცის მოვალეობა და ამიტომ „კავკაზის“ რედაქციამ არ უნდა შეჰკადროს მას შეურაცხყოფელ ნატაციების კითხვა უღირსად და გალაშქრება მის წინააღმდეგ, თუ გინდ ეს სხვის დავალებითაც ხდებოდეს.

როგორც დანამდვილებით ვიცით, ეპის. დავითმა აცნობა ქვაშვეთის ეკლესიის კანდელაკს (კლიუჩარს) რომ მას (ეპისკოპოსს) ჰსურს წირვა ქვაშვეთის ეკლესიაში და კანდელაკს, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, განკარგულება უნდა გაეცა შესამოსელისა და დიაკვნების შესახებ და აგრედვე უნდა ეცნობებინა საქართ. ეგზარხოსისათვის.

ამის შემდეგ ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი დაიბარა ეგზარხოსმა, რის შედეგათ ეპის. დავითმა, უკვე საკათედრო ტაძრის კანდელაკისგან კი არა, წინამძღვრისაგან მიიღო უარი, რომ რადგან ეგზარხოსის ნებართვა არ არის, არ შეძიძლიან აღნიშნულ დღეს საარქიელო წირვის უფლება მოგცეთო,

ასეთ ოფიც ალური ცნობის გამო, ეპის. დავითს არ შეეძლო 14 მაისს ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და, ცხადია, **არ შეეძლო მისგან დამოკიდებულ მიზეზთა გამო“.**

ᲙᲐᲮᲔᲚ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲜᲘᲡ

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ -Ს ᲡᲐᲖ. ᲙᲠᲔᲑᲐ

17 მაისის სხდომა.

ამ კრებაზე განიხილეს ხარჯთაღრიცხვა 1911 წლის 1 ოქტომბრიდან 1912 წ. 1 ოქტომბრამდე სარევიზიო კომისიისთვის გადადებულია 960 მ. **თ-დი ნ. აბაშიძე** ჰერიოდულ რევიზიის წინააღმდეგია. მას საკმარისად მიაჩნია 5 წევრიან სარევიზიო კომისია. თითოს უნდა დაენიშნოს წელიწადში 100 მანეთი. აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა სარევიზიო კომისიაში წარმომადგენელი ჰყავდეს დეპუტატთა საკრებულოს. მაგრამ ამის საპასუხოდ ამბობენ, წესდების ძალით, საზოგადოებას უნდა ჰყავდეს 5 წევრიანი სარევიზიო კომისია, დეპუტატთა საკრებულოს კი შეუძლიან იყიდოს განსაკუთრებული საკანტროლო ორგანოო. **თ-დი ლ. ვაჩნაძე** ამბობს, რადგანაც საანგარიშო წლის ბოლომდე სულ ოთხი თვე ღა დარჩა, საჭიროდ არ მიმაჩნია რაიმე ცვლილების შეტანაო.

ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოდ მიღებულ იქმნა ისე, როგორც ნავარაუდევი იყო. მხოლოდ ზოგიერთს მოსამსახურეებს ჯამაგირი მოუმატეს. თ-დ ს. ვახვახოშვილის წინადადებით, მეღვინე—ინსტრუქტორის დასაქირავებლად გადადებულ იქმნა 600 მანეთი.

ამის შემდეგ უნდა შესდგომოდნენ სარევიზიო კომისიისა და გამგეობის წევრთა არჩევას, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დეპუტატთა საკრებულომ წარმოადგინა თავისი მოსაზრებანი „კახეთი“-ს საქმეთა რევიზიის შესახებ. რადგანაც დღიურ წეს-რიგში ეს საკითხი შეტანილი არა ყოფილა, თავმჯდომარეს შეუძლებლად მიაჩნია მისი ეხლავე განხილვა და წინადადებას იძლევა არჩეულ იქმნას კომისია ამ საქმის შესასწავლად და მოხსენებას შესადგენად მომავალ საზოგადო კრებაზე. კამათის შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა განიხილოს დეპუტატთა საკრებულოს მოხსენება საღამოს სხდომაზე.

საღამოს სხდ. წაიკითხეს მოხსენება. მოხსენებაში ნაჩვენები იყო არა კანონიერი მოქმედება „კახეთის“ საზოგადოების ყოფილ გამგეობისა. კრებამ მოისმინა როგორც ეს ბრალდებანი, ისე ბრალდებულთა განმარტება და დიდის კამათის შემდეგ 28 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ოთხისა, გამოიტანა რეზოლიუცია შემდეგი შინაარსისა: „მოვისმინეთ რა დეპუტატთა საკრებულოს სხდომების ანგარიში და დავთანხმდით, რომ „კახეთის“ საზოგადოების გამგეობის ყოფილ წევრთა ზოგიერთი მოქმედება წესიერი არ არის, მეორის მხრით, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ეს უკანონო საქციელი შედეგია არა ბოროტი განზრახვისა, არამედ იმ საერთო უწესოებისა, რომელიც იმ დროს გაფიცვების გამო არსებობდა, და ამასთანავე მათ ჯერ ისევ შარშანვე თვითონ იკისრეს ზარალის ანაზღაურება, საზოკადო კრებამ დაადგინა: დეპუტატთა საკრებულოს გაწეულ შრომისთვის მადლობა გამოეცხადოს, შეერთებულ საბჭოს 1910 წლის 26 ივლისის დადგენილება მიჩნეული იქმნას კანონიერად და ასლი ოქმისა გაეგზავნოს დეპუტატთა საკრებულოს.

დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს **თ-დი ლევან ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე** (22 თ., 3 შ.) გამგეობის წევრებად: **თ-დი სულხან გიორგის ძე ჭავჭავაძე** (24 თ., 1 შ.) **ივანე იოსების ძე ვაჩნაძე** (21 თ., 4 შ.) სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს თ-დი კ. მაყაშვილი ერთხმად, ზ. ზ. მაპავარიანი 22 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ სამისა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ

ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

ამა წლის 20 მაისს ტფილისია საოთაო-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში დაიწყო კრებები ბანკის რწმუნებულთა. სულ დაესწრო 70 რწმუნებული.

ზედამხედველ კომიტეტის წევრმა თ-დმა პ. ა. გრუზინსკიმ სხდომა რომ გახსნა, შეკრებილთა სთხოვა გარდაცვალებულის ᲗᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ ფეხზე ადგომით პატივი ეცითო, რაიც შესრულებულ იქმნა.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ალ. ივ. ყანჩელი და მდივნად კ. პ. თუმანიშვილი.

გამგეობის წევრმა თ-დმა დ. ფავლენიშვილმა წაიკითხა მოხსენება 1911 წლის ანგარიშის თაობაზე.

შემდეგ დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ ალ. დიასამიძე, გრ. დიასამიძე. კ. მუსხელიშვილი. ვლ. რუტკოვსკი, დ აფხაზი, გ. გაბაშვილი, გ. ამირაჯიბი, პ. გედევანიშვილი, ალ. ფრიდონოვი, პ. გრუზინსკი, მ. გრუზინსკი, ლ. ჯანდიერი, ლ. ჩერქეზიშვილი, კ. მაყაშვილი, გ. ყაზახიშვილი და სხვანი. კრებამ გამგეობისა და დამფასებელთა კომისიის შეთანხმებითი მოქმედება ვერ დაინახა და დაადგინა, საქმის მოსაგვარებლად ღონისძიება იქნეს მიღებულიო.

ყრილობამ ანგარიშის რამდენიმე ნაკლი აღნიშნა, შემდეგ დაამტკიცა იგი და სხვა საქმეთა განხილვას შეუდგა.

1911 წლის ანგარიშა შემდეგია. გირავნობის ქალალდები ყოფილა 45,608, 780 მანეთისა

1911 წელს გაუცია 3,732,200 მანეთი.

ბანკში დაგირავებულ მამულები, 730,835 მან. სხვა ბანკში გადასულა და სხვა ბანკიდან შესულა 307,930 მან.

წმინდა მოგება დარჩენილა 311,285 მანეთი.

გირავნობის ქალალდის ფასი წლის ბოლოს ყოფილა 84—84 3/4 პროც.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ.

როგორი იქნება მე-4 სახელ. სათათბირო? „უტრო როსიი“-ს კორესპონდენტს უბაასნია მოსკოვის კადეტთა ჯგუფის თვალსაჩინო წარმომადგენელ ნ. კიშკინთან, რომელიც ეხლახან დაბრუნებულა კონსტ.-დემოკრ. პარტიის კონფერენციიდან.

„ეს კონფერენცია,—უთქვამს კიშკინს,—ერთი მრავალ რიცხოვანთაგანი იყო ამ ბოლო დროს. მისი მუშაობა სავსე იყო სიცოცხლით, სულიერი განწყობილება კი მხნე და იმედიანი. პროვინციის დელეგატებმა დიდად სანუგეშო ამბები მოგვიტანეს ოპოზიციის ზრდის შესახებ. სამაგიეროდ მემარჯვენეებს ცუდად აქვსთ საქმე. ახლანდელი მათი საარჩევნო სამზადისი გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე მე-3 სათათბიროსთვის იყო. მხნეთ მუშაობენ ამ ჟამად პროგრესისტები, განსაკუთრებით პროვინციებში.

პირადად მე წარმომადგენელთა მოხსენების მიხედვით მგონია, რომ 35 გუბერნიაში პროგრესიული ელემენტი გამმარჯვებს. მემარჯვენე და მეტიც—ულტრა მემარჯვენე ელემენტს მოგვცემს 15 გუბერნია, ხოლო დანარჩენი 17 ძლიერ საეჭვოა.

ყოველ შემთხვევაში იმედი უნდა ვიქონიოთ, რო მე-4 სათათბირ გაცილებით ოპოზიციონური იქნება მე-3 ზე. თვალსაჩინოდ შეიცვლება



ეს სქემა ჩვენ იმას გვიჩვენებს, რომ ყოველივე საწარმოო დაწესებულება მჭიდროდ არის შეკავშირებული საზოგადოებასთან. მართლაც საქმის წინამძღოლმა ბაზარზე უნდა იყიდოს როგორც საჭირო იარაღი, აგრედვე სამუშაო ძალა. წარმოების დამთავრების შემდეგ ნაყოფი წარმოებისა, საქონელი, ბაზარზევე უნდა გაიტანოს და გაჰყიდოს. როგორც ვხედავთ ჯერ იგი ჰყიდულობს და შემდეგში ჰყიდის წარმოების ნაყოფს. როგორც პირველ შემთხვევაში ისე მეორეში მას ბაზარზე უხდება საქმის დაჭერა. ბაზარზე კი მოქმედობს მთელი საზოგადოება. ამიტომ ჩვენი მრეწველი ან ვაჭარი სრულებით დამოკიდებულია ბაზრისგან ანუ საზოგადოებისგან. თუ მრეწველს ან ვაჭარს ბაზარი ფართე არა აქვს, მას არ შეუძლიან გაფართოვოს თავისი წარმოება იმ საზღვარზე ზევით, რასაც ბაზარი თხოულობს. არა ნიჭიერ მრეწველს არ შეუძლიან აწარმოოს საქმე ისეთ ალაგას, რომელიც ბაზარზე დაშორებულია. თანამედროვე კაპიტალისტურ ცხოვრებაში არამც თუ მრეწველი ან ვაჭარი არის დამოკიდებული ბაზრისგან, არამედ საზოგადოდ ყოველი მწარმოებელი.

(შემდეგი იქნება)

შ. გოგებაშვილი.

ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲙᲘ.

(წვრილი საკრედიტო დაწესებულებების გავრცელების გამო საქართველოში).

1.

როგორც ვიცით, ამ ჟამად საქართველოს სხვა და სხვა ალაგებში, მომეტებულად დასავლეთ საქართველოსაკენ, თანდათან ვრცელდება წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი. ამნაირი დაწესებულებების დაარსება მოასწავებს პირველ ნაბიჯს ხალხის ეკონომიური ცხოვრების წინსვლისას. თვით სახელმწიფომაც შეიგნო ბოლო დროს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წვრილ-საკრედიტო დაწესებულებებს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში და ამიტომ 1910 წ. 21 ივნისს გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც სახელმწიფო ბანკი აძლევს სესხად საჭირო ძირითად თანხას ყველა წვრილ საკრედიტო დაწესებულებებს.

წვრილი საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება ახალი მოვლენაა რუსეთისა და ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ჩვენი მოვალეობაა, ყოველივე კარგს ახალ მოვლენას ეკონომიურ ცხოვრებაში სიამოვნებით შეეგებნოთ და ვეცადოთ, ღრმად გაიდგას ფესვები ხალხის სასარგებლოდ. ზშირად, საქმის უცოდინარეობის გამო, რომელიმე ახალი დაწესებულება, კარგიც რომ იყვეს, სარგებლობის მაგივრად ზარალს აყენებს ხალხსა. ეს იმითი აიხსნება, რომ არ არის ისეთი დაწესებულება, რომელსაც თავის კარგ თვისებებთან ერთად უარყოფითი თვისებებიც არ ახლდეს. ეს უარყოფითი თვისებები მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან ავიცილოთ თავიდან, თუ რომ საქმე კარგადა გვაქვს გათვალისწინებული და ვიცით ყველა მისი, როგორც ავი, ისე კარგი თვისებანი. წვრილ საკრედიტო დაწესებულებებსაც, თუ რომ კარგად არ გვეცოდინე ა მისი ორგანიზაცია, სარგებლობის მაგივრად ზარალი შეუძლიანთ მოუტანონ ხალხს. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, რა არის კრედიტი და რა მნიშვნელობა აქვს მას ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში?

რა არის კრედიტი?

არსებობს ორგვარი კრედიტი: „საწარმოო კრედიტი“ (Производительный кредитъ) და „მომხმარებელი კრედიტი“ (потребительный кредитъ . საწარმოო კრედიტი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ვალი საერთოდ წარმოებაში მოსახმარებლად არის აღებული, ე. ი. საწარმოოდ. ჰირქით მომხმარებელი კრედიტის დროს ვალად აღებული ფული იხარჯება ოჯახში ცხოვრებისათვის საჭირო საგნებზე. როდესაც ჩვენ წვრილ საკრედიტო დაწესებულებებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვექნება მხოლოდ საწარმოო კრედიტი. ეს ლა ჩვენ განვმარტავთ საწარმოო კრედიტს.

სიტყვა კრედიტი ლათინურია და ნიშნავს ნდობას. საწარმოო კრედიტის დროს არსდება ისეთი დამოკიდებულობა ორ პირთა შორის, რომლის ძალთაც ერთი პირი (ეს პირი შეიძლება იყვეს მრეწველი, მუშა, თავისუფალი პროფესიის კაცი-ექიმი, ვექილი და სხვა) გადასცემს მეორეს (მეორე კი საწარმოო კრედიტის დროს უნდა იყვეს უეჭველად მწარმოებელი) რამოდენიმე თანხას, რომელიც დროებით თავისუფალია პირველი პირის წარმოებაში ან ოჯახში. პირველ პირს უწოდებთ მევალეს (кредиторъ) ხოლო მეორეს—მოვალეს (должникъ), როგორც ვხედავთ, ერთი პირი აძლევს მეორეს საჭირო თანხას, რომელიც რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორე პირმა უნდა გადაიხადოს. აქ დაიბადა კითხვა: რა იმედი აქვს მევალეს, რომ შემდეგში მოვალე ისევ დაუბრუნებს ვალს და ისიც სარგებლით, ან მოვალე საიდან იშოვნის შემდეგში ამ გადასახადს ფულს? კანონის ძალით გადაახდევინებს, გვეტყვიან ჩვენ. მაგრამ კანონი რას უშველის, თუ რომ მოვალეს არა ებადება რა. მაშინ აღარც მოვალე გაასესხებს ფულს იმისთანა პირზე, რომელსაც არა აბადია რა. ასე რომ იყვეს ვიცას ბევრი ქონება აქვს, თავის დღეში არ ვიდებს ხესხად ფულს და ჩვენი ფულის მქონე მევალეს დიდი თანხა დარჩება დაბანდებული, რადგანაც თითონ დროებით არ შეუძლიან ეს ფული აწარმოოს და ვერც მოვალეს იპოვის. თანამედროვე დროში კი, ვისაც ფული აქვს, თუ რომ მას თავის სამრეწველო ასპარეზზე აღარ შეუძლიან დროებით დახარჯვა, ფულს ისე არ დააბანდებს. ის უეჭველად ამ თავისუფალ ფულს სხვას მისცემს სესხად და სრული იმედი აქვს, მას ფული უკანვე დაუბრუნდება სარგებლით. ეს იმედი მარტო კანონის ძალზე არ არის დამყარებული. კრედიტის (ნდობის) წარმოშობის მიზეზი თვით ცხოვრებაში არის ღრმად ჩამარხული. ამის გამოსარკვევად ჩვენ უნდა ცოტა ხანს გადაუხვიოთ საკითხს და აღვნიშნოთ ჯერ-ჯერობით საერთოდ წარმოების ვითარება. ჩვენ უნდა გავშინჯოთ ის, თუ როგორ ხდება წარმოება რომელიმე სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულებაში.

ვსთქვათ რომელიმე პირმა მოისურვა აწარმოოს რამე სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულება. საქმის განსახორციელებლად მას უპირველესად სჭირდება ძირითადი თანხა. აღვნიშნოთ ეს თანხა ნიშნით (ფ). ამ თანხით იგი იძენს საჭირო საწარმოო იარაღს, ქირაობს სახლს, ყიდულობს მანქანებს და სხვა. გარდა ამისა, რადგანაც მისი საწარმოო დაწესებულება დიდი არის, იგი თვითონ წარმოებას მარტო სათავეში უდგია, განაგებს წარმოების საქმეებს და ამუშავებს დაქირავებულ მუშებს, მაშასადამე ამ პირს იარაღის გარდა სჭირდება მუშის შრომაც. ამიტომ იგი ქირაობს აგრედვე სამუშაო ძალას. წარმოების პროცესის დამთავრების შემდეგ კეთდება საქონელი (товаръ). ეს აღვნიშნოთ ნიშნით (ს). ეს საქონელი ჩვენ მწარმოებელს გააქვს ბაზარზე და ასაღებს ფულზე. რადგანაც იგი საქონელს ბაზარზე უფრო მეტ ფასში ჰყიდის, ვიდრე თითონ აქვს დახარჯული, ამიტომ აღებული ფული წარმოებაში დახარჯულ ფულზე მეტი იქნება. ეს ფული ჩვენ აღვნიშნოთ ამ ნიშნით (ფ'). ამ ფულით იგი ჰფარავს ხარჯს და თვითონ რჩება ზედმეტი ღირებულება. ყველა ზემოთ ნათქვამი უფრო კარგად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ შემდეგ სქემაზე *).

* ვსარგებლობთ პროფესორ კოსინსკის სქემით.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ნაძალადევის თეატრი შაბათს, მაისის 19, 1912 წ. წარმოადგინეს **გედევანიშვილის** დრამა **„გამცემი“.** ძონაწილეობდნენ: ქ-ბნი ე. ჩიქოვანი და ბ-ნი ს. სვიმონიძე და სხვა სცენის მოყვარენი. პიესამ საშუალოდ ჩაირა

ხალხი წარმოდგენას ცოტა დაესწრო. **ნაძალადეველი**

ბაქო. 20 მაისს წარმოდგენა გამართა ქართველ ქალთა წრემ. ამ წრის მოქმედებას როდისმე შემდეგ გავაცნობ მკითხველებს, ეხლა კი ვიტყვი, რომ იგი წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობასთან არსებობს და მხნედ მუშაობს ფულის შესაგროვებლად. წრეს აზრადა აქვს დაარსოს პროფესიანალური სასწავლებელი მოზარდ ქართველ ქალებისათვის. ხსენებულ საღამოს დასდგეს ორი პიესა—ერთ მოქმედებიანი დრამატიული ნაწყვეტი „ჯიხვთა ჭიდილი“ და გუნიას ვოდევილი „არივ-დარია“.

„**ჯიხვთა ჭიდილი**“ ეკუთვნის ადგილობრივ ავტორის, **ვლ. ახობაძის,** კალამს. ეს პიესა დაიბეჭდა გაზეთ „თემ“-ში, თუ არა ვცდები, შარშან. აზრი ნასენხებია რომელღაც პოლონელ მწერლის მოთხრობიდან. „ჯიხვთა ჭიდილი“—ბრძოლაა ორი მამაკაცისა ქალის სიყვარულისთვის. ორივეს გული ერთი ქალის სიყვარულს შეუპყრია, და ეს ბუნებრივი, ტრაგიზმი ორკეცდება იმით, რომ მეტოქენი საუკეთესო მეგობრებია სიყრმის ამხანაგები არიან. ორივე მზად არის თავი დასდოს, სიცოცხლე შესწიროს სატრფოს, მაგრამ სატრფო მხოლოდ ერთს ეკუთვნის—ქმარს. მეგობრები დრომდე კარგ

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

თავრიზი. შექადის პროვინციაში ძარცვა-გლეჯა დაწყებულა და კიეკლუს თემის შაჰსევნებიც დათარეშობენ თურმე. სძარცვავენ თურმე მდიდარ მემამულეთა სოფლებს.

თეირანი. შეადგინეს კაბინეთი სამსამუს-სალტანეს რჩევის მიხედვით.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲘᲡᲘ

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲖᲐᲠᲔᲓ

22 მაისი.

მაროკოს ამბავი.

ფეცი. პოლკოვნიკის გუროს რაზმმა ფეცის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გაილაშქრა. მტრის ბანაკს ფრანგებმა ზარბაზანი დაუშინეს. მტერი იფრინეს. ფრანგებისათვის მოუკლავთ 12 კაცი 31 დაუჭრიათ.

მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. გემთა ასაგებ ქარხნებში მუშაობა დაიწყეს. ლონდონის სანავთ-სადგურო გამგეობის სადგომს წინ ათასი ხალხი ირევა და სამუშაოს ეძებს. ჯერჯერობით 900 კაცი მიუღიათ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

დაშნაკცაკანთა საქმე.

პეტერბურგი. საკასაციო დეპარტამენტების საერთო კრებამ, რომელმაც განიხილა დაშნაკცაკანთა საქმე, გაამართლა სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფი ტერავერტიკიანი; დამნაშავე აივაზიანცს სამი წლის გამასწორებელი რაზმი შეუცვალა ორი თვის ციხეთ უფლებათა შენარჩუნებით. დანარჩენ დამნაშავეთა თხოვნები უყურადღებოდ დასტოვა:

ლენის ამბის გამო.

ბოდაიბო. ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი ჩამოვიდა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ნაძალადევის თეატრი შაბათს, მაისის 19, 1912 წ. წარმოადგინეს **გედევანიშვილის** დრამა **„გამცემი“.** ძონაწილეობდნენ: ქ-ბნი ე. ჩიქოვანი და ბ-ნი ს. სვიმონიძე და სხვა სცენის მოყვარენი. პიესამ საშუალოდ ჩაირა

ხალხი წარმოდგენას ცოტა დაესწრო. **ნაძალადეველი**

ბაქო. 20 მაისს წარმოდგენა გამართა ქართველ ქალთა წრემ. ამ წრის მოქმედებას როდისმე შემდეგ გავაცნობ მკითხველებს, ეხლა კი ვიტყვი, რომ იგი წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობასთან არსებობს და მხნედ მუშაობს ფულის შესაგროვებლად. წრეს აზრადა აქვს დაარსოს პროფესიანალური სასწავლებელი მოზარდ ქართველ ქალებისათვის. ხსენებულ საღამოს დასდგეს ორი პიესა—ერთ მოქმედებიანი დრამატიული ნაწყვეტი „ჯიხვთა ჭიდილი“ და გუნიას ვოდევილი „არივ-დარია“.

„**ჯიხვთა ჭიდილი**“ ეკუთვნის ადგილობრივ ავტორის, **ვლ. ახობაძის,** კალამს. ეს პიესა დაიბეჭდა გაზეთ „თემ“-ში, თუ არა ვცდები, შარშან. აზრი ნასენხებია რომელღაც პოლონელ მწერლის მოთხრობიდან. „ჯიხვთა ჭიდილი“—ბრძოლაა ორი მამაკაცისა ქალის სიყვარულისთვის. ორივეს გული ერთი ქალის სიყვარულს შეუპყრია, და ეს ბუნებრივი, ტრაგიზმი ორკეცდება იმით, რომ მეტოქენი საუკეთესო მეგობრებია სიყრმის ამხანაგები არიან. ორივე მზად არის თავი დასდოს, სიცოცხლე შესწიროს სატრფოს, მაგრამ სატრფო მხოლოდ ერთს ეკუთვნის—ქმარს. მეგობრები დრომდე კარგ

განწყობილებაში არიან, მაგრამ მალე ყველაფერი ირკვევა და აშკარა ხდება ერთ-ერთის ჩამოშორება და, რაკი ორივესთვის ეს სიყვარული ჰაერზე უტკბესია, ერთ-ერთის სიცოცხლის გამოსალმებაც აუცილებელია. მეგობრები, ჩვეულებრივის დუელის ნაცვლად, პირობას სდებენ — გამარჯვება მას დარჩეს, ვისაც ქალის გული ეკუთვნის. უარ-ყოფილმა სიცოცხლეს თავისავე ხელით უნდა მოუღოს ბოლო. ერთ დღეს ქალი ქმრის მეგობართან უნდა მივიდეს ძველი წერილების წასაღებად. ქმარი რევოლვერით ხელში ფარდის უკან იმალება და ნებას აძლევს მეგობარს, სცადოს ბედი: გადაუშალოს თავისი სული, მოაგონოს ძველი ურთ-ერთისადმი სიყვარული (გათხოვებამდე ქალსა და მეგობარს ერთმანეთი უყვარდათ) და ამ რიგად გამოარკვიოს, ვისთვის ჰფეთქს სატრფოს გული. ქმარს სწამს, რომ ცოლს ის უყვარს და ამიტომ თანხმდება პირობაზე და იმალება ფარდის უკან. მაგრამ საკმაოა ნახევარი საათი, რომ მისი ბედის-წერა სამუდამოდ გადასწყდეს: ირკვევა, რომ ქალს ქმარი კი არა, მისი მეგობარი უყვარს და თუ აქამდე არ ამხელდა, მხოლოდ იმიტომ რომ ბოდმას გულში იკლავდა ტ ცოლ-ქმრულ მოვალეობას არა ღალატობდა. უცბად იელვებს რევოლვერი და ქმარი წუთი-სოფელს გამოესალმება.

პიესა ლამაზად არის დაწერილი, კარგი ქართული ენით და, როგორც დრამატიული ნაწყვეტი, ერთ-მოქმედიანი პიესა, სადაც პეუძლებელია მთელის დრამატიზმის სავსებით გადაშლა, იგი საინტერესო მოსასმენია. კარგა დაცგმული „ჯიხვთა ჭიდილი“ შთაბეჭდილებას მოახდენს. სამწუხაროდ, ჩვენმა მსახიობებმა ვერ შესძლეს ეს, უმთავრესად იმიტომ, რომ ამ როლებისათვის დასში შესაფერი მოთამაშენი არ არიან და ამიტომ პიესამ ცივად და უგულოდ ჩაიარა. ამასთან მოთამაშენი დაბლა ლაპარაკობდნენ, ბევრგან არა ისმოდა-რა და ნახევარმა თეატრმა ვერც კი გაიგო პიესის შინაარსი. რევოლვერიც უხეირო გამოდგა—არ გავარდა—და უკანასკნელ სურათს მთელი ეფექტი დაეკარგა.

ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა. ბევრი აცინა დამსწრენი აქაური დასის პირველმა კომიკმა შველიძემ. ამ საღამოს სამი ახალი მოთამაშეც გამოვიდა—ქ-ნნი ქარუშიძისა, ახობაძისა და კაკაველი. არა უშავდათრა, განსაკუთრებით ახობაძისას: თუმცა პირველად იყო სცენაზე, მაგრამ თავი თამამად ეჭირა. მხურვალეტაში დაიმსახურა მ. გელოვანმა. სულ რაღაც ორი თვეა, რაც გელოვანი სცენაზე გამოვიდა და იგი ბაქოელ ქართველების უკვე საყვარელ მოთამაშედ გადაიქცა. გელოვანი სცენისთვის არის გაჩენილი და დიდი დანაშაული იქნება თავისი ძალღონე სცენას არ შესწიროს. ყოველ ეტეს გარეშეა, რომ იგი ჩვენი თეატრისთვის ერთ საუკეთესო მსახიობად დადგება. მისი სამოქმედო ასპარეზი ტფილისი ან ქუთაისია.

პიესების შემდეგ გაიმართა საკონცერტო-სალიტერატურო განყოფილება. ნ. ჩაგუნავას პატარა, მაგრამ მწყობრმა გუნდმა კარგად შეასრულა ათიოდე ქართული ხალხური სიმღერა. ქ-ნმა მახაროგლიძემ, ბ-ნმა პავლიაშვილმა, ვლ. ახობაძემ და ტფილისელმა მსახიობმა ვიქტორ მატარაძემ წაიკითხეს ლექსები. ახობაძემ და მატარაძემ აღტაცებაში მოიყვანეს საზოგადოება.

კვირას, 27 მაისს, **ბენეფისი ა ა რ ე ჟ ი სორის ნ. გვარაძისა.** გვარაძემ ამ ცოტა ხანში დიდი შრომა გასწია. ბაქოელები, ეჭვი არ არის, დააფასებენ ამ შრომას და ბლომად დაესწრებიან ბენეფისს, მით უმეტეს წარმოსადგენად დანიშნულია ახალი პიესა—ი. გედევანიშვილის დრამა **„გამცემი“**. ამ წარმოდგენით თავდება სეზონი.

წერილი რედ.მიმართ*)

„ახალხო გაზეთი“-ს მე-580 და 589 ნომერში მოთავსებულია წერილები ბ-ნი რ. ვაძაშვილისა და დ. კახელისა **ახალციხის** ახლო განსვენებული მამა ჩემის მიხელ ბეთანიშვილის მამულში **კიშელგურას** ანუ ინფუზორიის მიწის შესახებ. ავქსანები მოიწვევენ ქართველებს შეადგინონ პაიებით ამხანაგობა და ამუშავონ ეს მიწა, რომელსაც ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიხ. ბეთანიშვილის **ვითომდა** მემკვიდრე ბ-ნი იზაშვილი იძულებული შეიქნება უცხოეთის შვილებს ჩაუგდოს ხელში საქართველოს ერთი სიმდიდრეთაგანი.

მაგრამ კიშელგურის ამბავი აი ასე გახლავთ. ახალციხის ახლოს კიშელგურის მიწა ეკუთვნის რამდენსამე მონაწილეს, მათ შორის იყო განსვენებული მამა ჩემი მიხ. ბეთანიშვილი... უკანასკნელს დანარჩენმა მონაწილეებმა გადასცეს სარგებლობის უფლება 36 წლის ვადით. მამა ჩემი იყო სრული გამგე და პასუხის მგებელი მოურავი ხსენებულის მიწისა 1896 წლის 29 ღვინობისთვიდან. იმან ამდენისავე წლის ვადით გადასცა მიწით სარგებლობის უფლება სამზღვარ-გარეთელ კაპიტალისტებს, რომელნიც დღემდის არიან და ვადის გასვლამდისაც იქნებიან ხსენებულის მიწის შემამუშავებელნი. რადგანაც იმ დღიდან დღემდენ მიწის წარმოება არ შეწყვეტილა ყოველ მხრივ აგენტების საშუალებით დაუყოვნებლივ ინფუზორიის მიწა მოთხოვნისა უმალვე იგზავნება.

მე საშინლად მიკვირს, საიდამ გამოიყვანეს ბ-ნი იზაშვილი მამა ჩემის, მიხელ ბეთანიშვილის, მემკვიდრედ, როდესაც ამ უკანასკნელს ჩემს გარდა კიდევ დარჩა ორი ვაჟი და სამი ქალი, რომელნიც ქალ. ბათუმში სცხოვრობენ და ჩემთან ერთად არიან ერთად ერთი მემკვიდრენი მიხ. ბეთანიშვილისა.

ნუ თუ ყოვლისავე ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი პაიებით ამხანაგობის შედგენაზე?! რისთვის ატყუებენ ქართველს საზოგადოებას?!

კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი
ალექსანდრე ჭიხელის-ძე ბეთანიშვილი
ქ. ბათუმი. 912 წ. 4-ს მაის.

ბ. რედაქტორო!

სიმართლის აღსადგენად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

თქვენ პატივცემულ „სახალხო გაზეთი“-ს №№ 594, 600-ში ორჯელ დაიბეჭდა, რომ ინსპექტორმა ზაალიშვილმა პედაგოგიურ საბჭოდან გამოაძევა ქართული ენის მასწავლებელი. მე თვითონ დიდი მოამხრე ვარ, რომ ქართული ენის მასწავლებელი პედაგოგიურ საბჭოს წევრი იყოს, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ამ ხუთი წელიწადი ქართულ და სომხურ ენის მასწავლებლებს ვიწვევდი პედაგოგიურ საბჭოს კრებაზე.

შემდეგ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ვთხოვე ქართულ და სომხურ ენის მასწავლებლებს **დროებით**, მინამ პირადად მოველაპარაკებოდი ბ. მზრუნველს, **არ მოსულიყვნენ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.**

რაც შეეხება **ქართული ენის** სწავლებას ჩვენს გიმნაზიაში—ამაზე ვიტყვი, რომ ქართულ ენას სხვა საგნებში არ ვარჩევ და მის გვარიანად დაყენებაზე ბევრჯელ მქონია საგნის კომისიაში (предметная комиссія) სჯა, რის ოქმებიც მაქვს; მგონია, რომ თვითონ ქართული ენის მასწავლებელიც მოვალეა ხმა ამოიღოს ამის შესახებ.

ქართული ენა სავალდებულო საგნად არ ითვლება გიმნაზიებში, ამიტომ მე ჩემის უფლებით არც შემიძლიან იგი გავხადო სავალდებულო საგნად და მივანიჭო ქართულ ენის მასწავლებელს ის უფლება, რაც აქვთ სავალდებულო საგნების მასწავლებლებს.

პატივისცემით გორის პროგიმნაზიის ინსპექტორი. **მ. ყ. ზაალიშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის ფურცლებზე—(№№ 577—8) გამოცხადებული იყო ალაგირის ქართული სკოლის სასარგებლოდ შემომწირველთა სია. გთხოვთ ამ მოკლე სიასაც ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში და უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ ქვემორე მოყვანილ პირთაც, ვინც, ნივთიერი დახმარება გაგვიწია სკოლის შენობის აშენებაში.

ქალ. ქუთაისიდან ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოს გიორგისაგან მოგროვილი:

თვით ყოვლად სამღვდელო გიორგიმ 10 მან. 10 კ., მოწამეთის არქიმანდ. ნესტორმა 13 მ. 40 კ., ბლაღოჩინ მღვ. წერეთელმა 9 მ. 80 კ., ბლაღოჩ. მღ. ჭელიძემ 15 მ. 20 კაპ., ბლაღოჩ. მღ. ვეფხვაძემ 5 მ. 50 კაპ., ბალაღოჩ. მღ. ნასარიძემ 4 მ., ბლაღოჩ. მღ. ფანცხავამ 5 მ. 15 კ., ბლაღოჩ. მღვ. დუღლაძემ 5 მ. 25 კ., ბლაღოჩ. მღვ. სუხიაშვილმა 5 მან., ბლაღჩ. მღ. ტაბიძემ 2 მან. სულ 75 მანეთი და 40 კ.

ხარბინიში მოგროვილი ჯიშკარიანისაგან:

სიმონ, გიორგი და თეოფილე გურულებმა 15 მან., ილიკო როსტომის ძე ღლონტმა 5 მ. სამ-სამი მანეთი: ვანო ლ. პაატაშვილმა, სოკრატი ელის. რეფიამ, ძმებმა ხელაიებმა, დიომიდე იას. გაგუამ, დიმიტრი იესეს ძე ბოლქვაძემ, დავით დარჯანიამ, გრიგოლ მესხმა, ა. მიქაშავიძემ, ილიკო კიზირიამ, ნაზარიშვილმა, ი. ჯაყელმა. ორ-ორი მანეთი: გიორგი ჯაგიგიბერიამ, გიორგი ფიცხელურმა, გრიშა ჯაფარიძემ, ს. მატახერიამ, ალექ. ეძგვერაძემ, ძმ. აბრამიძეებმა, ძმ. ფოჩხიძეებმა, ილარიონ გოგვაძემ. თითო-თითო მანეთი: ვასილ მაქ. ცერცვაძემ, პოლიკარპ რატიანმა, უბედურმა, ვასილ გამყრელიძემ, გეგენავამ, დიხამიჯიამ, იასონ ხომერიკმა, ა. ყდენტმა, ტაგუ ხურციამ, რაყდენ ღლონტმა, პეტრე გურიანთელმა, ელიაშვილმა, პორფ. ციცაძემ, ილიკ. აბზაზავამ, გრ. ძიძიგურმა, ნოე ფურუშაძეს, ევგ. თოფურიძემ, ვიქტორა ხაინდრავამ, კ. ჯორჯიკიამ, ს. ა. ქილიფფარმა, ბ. არაქელოვმა, .. იუ. ფედორეფიჩმა, სვიმონ დვალიშვილმა, კვიროსი ჩხეიძემ, ს. მიქელაძემ, №№, კ. კედიამ, გოგი მგალობლიშვილმა, ა. კუციამ, ლავრენტი ბაბაშიძემ, ვასო ბოკოლიშვილმა, ეკატერინე გრ. ბოკოლიშვილმა. სულ 101 მ.

ბაქოში კოსტანტინოვის არტელის წევრთა შორის მოგროვილი თ. ჩალაძესაგან. ეგორ მერაბოვმა 2 მან. თითო მანეთი, სამსონ კიკვიძემ, ვასილ კირვალიძემ, იოსებ მახარაძემ, თედო ჩალაძემ, ალექ. გამყრელიძემ, ილია ბროლაშვილმა, ვასილ სხირტლაძემ, ვასილ ჭილაძემ, სერგეი იაკობაშვილმა, გ. ჩუბაშვილმა, ალ-ათი შაური; იაკობ დავითაიამ, ვასილ მაისურაძემ, ალავიძემ, ლაშხიშვილმა, ლუკა სიხარულიძემ, №, სურგულაძემ. სულ 15 მან.

ყოვლად სამღვდელო გიორგის ეპისკოპოზმა ანტონიმ 10 მან. ქსენია ბოკერიამ 6 მან. 35 კაპ. კავკავის გიმნაზიის მასწავლებელმა ტიტე ბ. კახიძემ სასწ. ნივთები 50 მან. ეღნე კერკელისამ ფარანი ბუნდოვ. სურათებით 25 მან. ამბაკო მეტრეველმა 5 მან. იასონ ვას. კერესელიძემ და მიხეილ აფრ. ჯაფარიძემ 18 მან.

ალაგირის ქართული სკოლის მასწავლებელი **გიორგი უტურაშვილი.**

P. S. უმორჩილესად ვთხოვთ იმ პირთ, ვისაც შესაგროვებელი ფურცლები აქვთ დაგზავნილი, დაეშურნენ მათი დაბრუნებით, რათა შეძლება მოგვცეს სრული ანგარიშის გამოქვეყნებისა. **გ. უ.**

პატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ შემდეგ ჭირების ზუგდიდის საქალებო სკოლის მმართველს ბლაღოჩინ მდვდელს სამსონ თათარიშვილს და ზუგდიდისავე სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ნადირაძეს, რომელთაც ხელი შეგვიწყვეს და საბავშვო სალიტერატურო საღამოსთვის გვათხოვეს პირველმა — ფანარი ბუნდოვან სურათებისთვის, ხოლო მეორემ—იმისთვის მრავალი სურათები. ამასთან ჩვენი მოწაფეების თხოვნით უღრმეს მადლობას ვსწირავთ ბ. ჯარვა სამუშიას, რომელმაც კეთილ ინება და ამ სალიტერატურო საღამოზე ამუშა მათ ხუთი მანეთი (5 მან.) ქართულ საკითხავი წიგნების შესაძენად.

ლიის ორკლასიან სკოლის მასწავლებელი; **მღვდელი მოსე კვერკველია, მაქსიმე კეკუა** და **ალექსანდრე ბერიშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა ვუძღვნათ მედიცინის დოქტორს ზ. ი. ბაბანასოვს, რომელიმაც თავის განსვენებულ დის სურვილისამებრ შემოსწირა ქართ. დრამ. საზოგადოების ბიბლიოთეკას შემდეგი წიგნები: 1) **თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა** (თბილისი 1876 წ.), 2) **თხზულებანი თავ. გიორგი დავითის ძის ერისთავისა** (თბილისი 1876 წ.) 3) **ჩონგური: ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსთა კრებული, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან.** (პეტერბურგი 1864 წ.) 4) **მეფე ლირი** ტრაგედია უილიამ შექსპირისა, ინგლისურიდან გადმოთარგმნილი ივ. მაჩაბლისა და ილ. ჭავჭავაძის მიერ, (ტფილისი 1877 წ.)

პატივისცემით **ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა.**

პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ მე-600 ნომერში დაბეჭდილია მ. აჯიმამუდოვის წერილი იმ კორესპონდენციის („ს. გ“. № 523) საპასუხოდ, სადაც მისი უმსგავსო საქციელი იყო აწერილი. წერილი უმთავრესად მე შემეხება და სხვათა შორის ამბობს, ვითომც მე თელ. სამ. სასწ. ღარიბ მოწ. დამხმარე საზოგადოების წინააღმდეგ გამელაშქროს (?) ჩემს კორესპონდენციაში.

საუბედურო ჩემი ჯანმრთელობა, ნებას არ მაძლევს, იხლავე ვუპასუხო მას. მხოლოდ ჩემთვის სასიამოვნოა მისი წერილი, რადგანაც შემთხვევა მეძლევა მისი მოქმედების სავსებით აწერით გავაცნო საზოგადოებას აჯიმამუდოვის ნამდვილი სახე. მაშინ გამოჩნდება. მისი მოღვაწეობა რას მოითხოვს, დაფ ს გვირგვინს, როგორც აჯიმამუდოვსა ჭგონია, თუ სხვას რასმე. **დავიწყებული.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაძებელ ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტი დღის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, დაბის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6. ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტი დღის 10 ს. 41 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საბაგარეკა 8 ა ტ. № 77 ა **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საბაგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფაზისკენ: საფოსტო № 74/75 დაბის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: საბაგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე- კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 —II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე- V ან მე-VI კლ. ვაგ. № 07, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 06, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საბაგარეკ. № 76 ა*, საღ. 8 ს. 28 წ. **საბაგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 23 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 წ. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **ვ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათიოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, [illegible] ქ. [illegible]).

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (ალოლოკი, ამაღლების ქ. № 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საჰმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭმარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემეგის მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს. ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „ესენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაფსეს. ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ვეფიამინოვის ქუჩაზე № 18 ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა
კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახანისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობამ საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახანიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 8. 45 წ.

ასტრაიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 1 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რაინის გზის ბილეთი და პლაკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ ტფილისში ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზი მერკური“ ტელ. 1156.

განცხადებანი

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებებს** ინავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 წან. 6½ 8 საღ. ქუჩეთის ქ., № 1

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3. ს. გაბაშვილისა. (7

სამეფოგიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკაუესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში, 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოანლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.58)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსუული თევზი

(წ.—1131—65)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მედმოვის საწოლებით

მიხეილის ქუჩა, № [illegible] ტელეფონი [illegible]

[illegible] ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშინგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულიერ-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. ვ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დ[illegible] თა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „ჩინ“-ით.

(0—1253—61)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. **შეუხაკუნებ**

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაბასარაფი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიკვანაძე: 9½—10 ს. ფვალლისა, შინაგანი და ნერვებისა.

ს. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. ფულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სუს. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანი: 12—1 ს. შინაგან. საბავშვო და ყვავილს აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუნოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ნ ა ტ ო რ ი:

მ. გ. ავეტისიანი: 6—7 საღამ. რჩევა-დანიშვნა 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ტ. 1077.1)

გამოცდილ მასწავლებელ ქალ **ვაჟთა ჯგუფი**, რომ[illegible]ლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედ[illegible] გოგიო სწავლა დასრულებულნი, ამჟამ[illegible] დენს** ქალ.-ვაჟთ **ყველა საშუალო** და **დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და ს[illegible] ქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალურ[illegible] საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო სტეფნიკო, მიწის-მზომელთა, საავრონომიო[illegible] საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სა[illegible] წავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბ[illegible]ბიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამ[illegible] წავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მ[illegible] წმობის მისაღებად, საშინაო და სახალ[illegible]ხო მასწავლებლად.** აფთიაქის სამოწაფო[illegible] და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იღ[illegible] ებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს[illegible]**

მიმართეთ: 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბ[illegible] ბურინშვილის ბინა, ნაშუადღეევის 4—6 საათ[illegible]მდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარაგი[illegible]ძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—[illegible] საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკ[illegible] № 9, კოლიუბინის ბინა, ნაშუადღეევის 3—[illegible] საათამდე. (25—1275—2

ეკონომიური **ქალ. ბ. ბ. ბ. ბ.**